საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის

ბრძანება №46
2013 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესი (დანართი №1).

მუხლი 2
დამტკიცდეს დეპარტამენტსა და წვევამდელს შორის საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების ფორმა (დანართი №2).

მუხლი 3
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 25 მაისის №93 ბრძანება.

მუხლი 4
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი **სოზარ სუბარი**

დანართი №1

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესი

თავი I
ზოგადი დებულება

მუხლი 1. წვევამდელის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის წესი და რეგულირება
1. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სასჯელაღსრულების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს დეპარტამენტის გარე დაცვის სამმართველოში (შემდგომში - სამმართველო) წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესსა და პირობებს, წვევამდელის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებსა და

წესს.
2. წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურის გავლა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონებით, პატიმრობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, ამ წესით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებებით, სხვა შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. წვევამდელის მიერ სამხედრო ვალდებულების მოხდა
წვევამდელის მიერ სამმართველოში სამხედრო ვალდებულება შეიძლება მოხდილ იქნეს სავალდებულო ვადიანი სამხედრო სამსახურის და საკონტრაქტო სამსახურის სახით.

თავი II

წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხვისა და სამსახურის გავლის პირობები

მუხლი 3. წვევამდელის სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელად სამმართველოში ჩარიცხვა

1. სამხედრო ვალდებულების მოსახდელად სამმართველოში შეიძლება ჩაირიცხოს ნასამართლობის არმქონე წვევამდელი, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა (აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ სამმართველოში კონტრაქტით ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეზე) და პიროვნული თვისებებით, განათლებით, ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

2. საქართველოს სამხედრო ძალებში წვევამდელთა გაწვევის პერიოდში დეპარტამენტის წარმომადგენელთა მიერ ტარდება გასაუბრება სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად ჩასარიცხ კანდიდატებთან. გასაუბრებისას მოწმდება კანდიდატის ზოგადი განათლება და ინტელექტუალური მონაცემები.

3. გასაუბრების შედეგად შერჩეული კანდიდატი ავსებს საკადრო აღრიცხვის ანკეტას.

4. კანდიდატი საკადრო აღრიცხვის ანკეტის შევსებიდან გონივრულ ვადაში, დეპარტამენტს, როგორც წესი, წარუდგენს პირადობის მოწმობის, დიპლომის ან ატესტატის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ქორწინების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თავისი და შემდეგი ნათესავების: მეუღლის, შვილის, მამის, დედის, დის, ძმის და აღმზრდელის დაბადების მოწმობის ასლებს, ნათესავების გარდაცვალების შემთხვევაში – ცნობის დამოწმებულ ასლებს; ცნობას თავისი და ნათესავების სამუშაო ადგილიდან, თავის ფოტოსურათს (3X4) სამ ეგზემპლარს, ცნობას სასწავლებლიდან, აგრეთვე, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

5. წვევამდელს, რომელიც სამხედრო ვალდებულების მოსახდელად უნდა ჩაირიცხოს სამმართველოში, საბუთების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, ეძლევა მიმართვა მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის გასავლელად.

6. წვევამდელზე გაცემული მუდმივმოქმედი სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნა დეპარტამენტს ეგზავნება კონფიდენციალურად.

7. დეპარტამენტი ახდენს კანდიდატების შემოწმებას ნასამართლობაზე, დაუშვებელია სამმართველოში ჩაირიცხოს წვევამდელი, რომელიც არის ნასამართლევი ან მის მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

8. შერჩეული კანდიდატების სამხედრო ვალდებულების მოსახდელად სამმართველოში ჩარიცხვა და წოდების მინიჭება ფორმდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 4. მოსამსახურის მომზადება
1. სამმართველოში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად ჩარიცხვამდე, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე გადის სპეციალურ თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებას ორი კვირიდან ერთ თვემდე ვადით.
2. სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების არადამაკმაყოფილებელი შედეგით გავლის შემთხვევაში, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეს კონტრაქტი არ გაუფორმდება და იგი უბრუნდება შესაბამის გამწვევ პუნქტს, ხოლო წარმატებით გავლის შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადა აეთვლება სწავლების დაწყების დღიდან.

მუხლი 5. სამხედრო ფიცი

1. სამმართველოში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად ჩარიცხვისას წვევამდელი დებს სამხედრო ფიცს.
2. სამხედრო ფიცის დადებამდე, წვევამდელმა არ შეიძლება შეასრულოს სამხედრო-სამსახურებრივი ამოცანები, მათ შორის, საგუშაგო სამსახურებრივი მოვალეობები.

მუხლი 6. მოსამსახურის მიმაგრება
1. სამმართველოში ჩარიცხული სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით მიემაგრება სამმართველოს კონკრეტულ განყოფილებას. შესაძლებელია სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის სამმართველოს სხვა განყოფილებაში გადაადგილება.
2. საკონტრაქტო მოსამსახურეს დაცვის ობიექტზე განწესში (ყარაული) განაწილებისას უშუალო ხელმძღვანელის მიერ უტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

მუხლი 7. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადა
1. წვევამდელის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადა განისაზღვრება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად.
2. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვადა აითვლება სამმართველოში ჩარიცხვის დღიდან.

მუხლი 8. საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება
სამმართველოში სამხედრო ვალდებულების მოსახდელად ჩარიცხულ წვევამდელსა და დეპარტამენტს შორის, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ფორმდება საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება დანართი №2-ში მითითებული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 9. საკონტრაქტო მოსამსახურის შვებულება და მივლინება
1. უშუალო ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში მყოფ პირს ეძლევა მოკლევადიანი შვებულება 10 დღემდე ვადით, შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევებში:
ა) შემდეგი ნათესავების: დედის, მამის, მეუღლის, შვილის, ძმის, დის, ბებიისა და პაპის გარდაცვალების ან მათი მძიმე ავადმყოფობის გამო;

ბ) სტიქიური ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოების შემთხვევაში, რომლის დროსაც დაზარალდა საკონტრაქტო მოსამსახურის ოჯახი.

2. შვებულების გაფორმებას დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო.

3. სამსახურებრივი რეჟიმის გაძლიერებისა და განგაშის (გარდა სასწავლოსი) შემთხვევაში, შვებულებასა და მივლინებაში მყოფი საკონტრაქტო მოსამსახურე ვალდებულია სასწრაფოდ გამოცხადდეს თავის სამუშაო ადგილზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავის უშუალო უფროსს.

4. საკონტრაქტო სამსახურის გავლისას, მოსამსახურე შეიძლება გაიგზავნოს სამსახურებრივ მივლინებაში შემდეგ შემთხვევებში:

ა) სპეციალურ სწავლებებსა და შეკრებებზე;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ისეთ ადგილზე, რომელიც არ წარმოადგენს მისი მუდმივი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილს;

გ) სამეცნიერო და თეორიულ-პრაქტიკულ სემინარებში მონაწილეობის მისაღებად;

დ) სპორტულ და კულტურულ-პრაქტიკულ სემინარებში მონაწილეობის მისაღებად.

5. მივლინებაში გაგზავნა ფორმდება სამმართველოს უფროსის პატაკის საფუძველზე დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. მისავლინებელ პირს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მივლინება პირდაპირ არ უკავშირდება სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებას) მიეცემა სამივლინებო ბარათი და სამივლინებო თანხა, საჭიროების შემთხვევაში მშრალი ულუფა ან სასურსათო და ფულადი კომპენსაცია.

მუხლი 10. შრომისუუნარობის (საავადმყოფო) ფურცელი
ავადმყოფობის გამო შრომისუუნარობის (საავადმყოფო) ფურცლის გახსნა ხდება სამედიცინო შემოწმების

შემდეგ სამედიცინო ჩვენებით და მოსამსახურის უშუალო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 11. პირადი სურვილით საკონტრაქტო სამსახურის გავლის პირობები
სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების უფლების მქონე პირი, რომელიც პირადი სურვილით იხდის სამხედრო ვალდებულებას საკონტრაქტო სამსახურში, კარგავს კანონით მინიჭებული შეღავათის უფლებას, თუ მას სამსახურის გავლის პერიოდში არ წარმოექმნება შეღავათის მინიჭების ახალი გარემოება. საკონტრაქტო მოსამსახურეს უფლება აქვს უარი თქვას შეღავათის მინიჭების ახალი გარემოებით სარგებლობაზეც.

მუხლი 12. კონტრაქტის შეწყვეტა
სამხედრო მოსამსახურის მიერ საკუთარი ინიციატივით (თვითნებურად) ან ბრალეულობით (დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის, დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევის, სამხედრო მოსამსახურისათვის შეუფერებელი საქციელისათვის) კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, წვევამდელს კონტრაქტით ნამსახურები პერიოდი სავალდებულო სამსახურში არ ჩაეთვლება და მისი სამართლებრივი სტატუსი და სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 13. მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნა
1. სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის და ამ წესის შესაბამისად.
2. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე დაითხოვება ვადამდე (გარდა ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა).

3. სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ფორმდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

4. საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნის წესი და პირობები განისაზღვრება ამ წესითა და დეპარტამენტსა და მოსამსახურეს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

თავი III
წახალისების წესი

მუხლი 14. წახალისების მიზნები
წახალისება გამოიყენება სამხედრო დისციპლინის გასამტკიცებლად. წახალისების მიზანია სამხედრო მოსამსახურეთა მოტივირება დაკისრებულ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებისა და სამხედრო მოსამსახურეთა პატივისა და ღირსების წარმოჩენისათვის.

მუხლი 15. წახალისების სახეები
წახალისების სახეებია:
ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ადრე დადებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოხსნა;

გ) ფასიანი საჩუქარი;

დ) ფულადი ჯილდო;

ე) შვებულება არა უმეტეს 5 დღის ვადით;

ვ) სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნა;

ზ) მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება.

მუხლი 16. წახალისების ზოგადი წესი
1. ღირსეული ქმედებისათვის წახალისება ხდება დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, სამმართველოს უფროსის წარდგინების საფუძველზე, ამ წესის შესაბამისად.
2. ფასიანი საჩუქრის ღირებულება და აგრეთვე, ფულადი ჯილდოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 200 ლარს.

3. ამ წესის IV თავით განსაზღვრული ღირსეული საქციელისათვის, წახალისების ზომად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ადრე დადებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოხსნა.

4. სამხედრო მოსამსახურის მიმართ, განსაკუთრებული დამსახურების შემთხვევაში, წახალისების ზომად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მორიგი სამხედრო წოდების ვადამდე მინიჭება.

5. სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც ღირსეულ საქციელს ჩაიდენს, წახალისების შესაბამისი ზომა უნდა შეეფარდოს ამ წესის დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, წახალისებაზე წარდგინების უფლებამოსილ პირს, მისი ბრალეულობის არსებობის შემთხვევაში, დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

მუხლი 17. წახალისება რამდენიმე ღირსეული საქციელისათვის
სამხედრო მოსამსახურე ორი ან მეტი ღირსეული ქმედების ჩადენისას წახალისდება თითოეული ქმედებისათვის ცალ-ცალკე.

თავი IV
წახალისების ზომები

მუხლი 18. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფილი შესწავლა
ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფილი შესწავლა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მასზე ტაბელით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის მოვლის, შენახვის და გამოყენების წესების სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული შესწავლა – წახალისდება შვებულებით 5 დღემდე ვადით.

მუხლი 19. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ნორმატივების წარმატებით შესრულება
ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ნორმატივების წარმატებით შესრულება – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 20. ფიზიკური ნორმატივების წარმატებით შესრულება
ფიზიკური ნორმატივის განსაკუთრებული წარმატებით შესრულება – წახალისდება მადლობის გამოცხადებით.

მუხლი 21. სპორტულ ან/და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და წარმატების მიღწევა
სპორტულ ან/და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და წარმატების მიღწევა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სახელმწიფო დონის ჩემპიონატებში ან ფესტივალებში მონაწილეობის მიღება და საპრიზო ადგილის დაკავება – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 22. სამაშველო სამსახურისათვის დახმარების გაწევა
1. შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამაშველო სამსახურისათვის დახმარების გაწევა – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნით.
2. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის გადარჩენა – წახალისდება ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით.

მუხლი 23. დანაშაულის აღკვეთისას სამართალდამცავი ორგანოებისათვის დახმარების გაწევა
1. დანაშაულის აღკვეთისას სამართალდამცავი ორგანოებისათვის დახმარების გაწევა – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან ფულადი ჯილდოთი.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან/და სხვა განსაკუთრებული პირობების სიტუაციებში – წახალისდება სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 24. თანამებრძოლისათვის დახმარების გაწევა
1. თანამებრძოლისათვის სამხედრო საკითხებში დახმარების გაწევა – წახალისდება სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნით ან ფულადი ჯილდოთი.
2. იგივე ქმედება ჩადენილი სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში – წახალისდება 5 დღემდე შვებულებით ან ფასიანი საჩუქრით.

მუხლი 25. მოვალეობების განსაკუთრებით კეთილსინდისიერად შესრულება
1. მოვალეობების განსაკუთრებით კეთილსინდისიერად შესრულება – წახალისდება სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის მადლობის წერილის გაგზავნით.
2. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის ან/და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების გარემოებებში –

წახალისდება 5 დღემდე შვებულებით ან ფასიანი საჩუქრით.

მუხლი 26. ამ წესის, სამხედრო საქმისა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული შესწავლა
ამ წესის, სამხედრო საქმისა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული შესწავლა – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 27. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფილი შესწავლა
ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფილი შესწავლა – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 28. ახალი საბრძოლო-სამხედრო იარაღის სრულყოფილი შესწავლა
ახალი სამხედრო-საბრძოლო იარაღის სრულყოფილი შესწავლა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ შეიარაღებაში ახლადშემოსული იარაღის მოვლის, შენახვის და გამოყენების წესების სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული შესწავლა – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

მუხლი 29. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ნორმატივების სისტემატურად წარმატებით შესრულება
ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ნორმატივების სისტემატიურად წარმატებით შესრულება – წახალისდება მადლობის გამოცხადებით ან 5 დღემდე შვებულებით.

თავი V
დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

მუხლი 30. დისციპლინური გადაცდომის ცნება
დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ წესის, აგრეთვე, სამხედრო მოსამსახურეებისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების წინააღმდეგ მიმართული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედება, რისთვისაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობის ზომას არ ითვალისწინებს.

მუხლი 31. უკიდურესი აუცილებლობა
დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა იმ სამხედრო მოსამსახურის ქმედება, რომელმაც ჩაიდინა ამ წესით გათვალისწინებული ქმედება უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში იმ საფრთხის ასაცილებლად, რომელიც ემუქრება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სამხედრო სამსახურის წესს, საკუთრებას, სამხედრო მოსამსახურეთა ან მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს და ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია სხვა საშუალებებით, ამასთან, მიყენებული ზიანი, აცდენილ ზიანთან შედარებით, ნაკლებმნიშვნელოვანია.

მუხლი 32. აუცილებელი მოგერიება
1. დისციპლინურ გადაცდომად არ მიიჩნევა იმ სამხედრო მოსამსახურის ქმედება, რომელმაც ჩაიდინა ამ წესით გათვალისწინებული ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმ საფრთხის ასაცილებლად, რომელიც ემუქრება სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სამხედრო სამსახურის წესს, საკუთრებას, სამხედრო მოსამსახურეთა ან მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვისას ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ არ მოხდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.
2. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედების აშკარა შეუსაბამობას მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათსა და საშიშროებასთან.

მუხლი 33. დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნები
1. დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანია სამხედრო მოსამსახურის დისციპლინის დაცვა, სამართლიანობის აღდგენა, ახალი გადაცდომის თავიდან აცილება და დისციპლინის დამრღვევი სამხედრო მოსამსახურის რესოციალიზაცია.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანი არ შეიძლება იყოს სამხედრო მოსამსახურის პიროვნული ღირსების ხელყოფა.

მუხლი 34. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახეები
დისციპლინის დამრღვევ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) რიგგარეშე განწესამდე დანიშვნა;

ე) კონტრაქტის შეწყვეტა;

ვ) სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება.

მუხლი 35. დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დადების ზოგადი წესი
1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება, სამმართველოს უფროსის წარდგინების საფუძველზე, დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ავტომატურად მოხსნილად ითვლება ექვსი თვის შემდეგ, თუ სამხედრო მოსამსახურე ამ ვადის განმავლობაში არ ჩაიდენს იმავე ან სხვა დისციპლინურ გადაცდომას.

მუხლი 36. დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი
დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება:
ა) დისციპლინური გადაცდომის გულწრფელი მონანიება;

ბ) დისციპლინურ გადაცდომის ჩადენაზე ნებაყოფილობით ხელის აღება;

გ) გადაცდომის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში;

დ) სხვა გარემოებათა გამო, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში შესაძლებელია მიჩნეულ იქნენ გადაცდომის ჩადენის შემამსუბუქებელ გარემოებებად.

მუხლი 37. დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი
ამ წესის მიზნებისათვის დისციპლინური გადაცდომისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება:
ა) მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა, მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად;

ბ) პირის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების ვადაში ორი ან მეტი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა;

გ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ;

დ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არაფხიზელ მდგომარეობაში.

მუხლი 38. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დადება რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის
სამხედრო მოსამსახურეს, ორი ან მეტი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეეფარდება თითოეული დარღვევისათვის ცალ-ცალკე.

მუხლი 39. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადების გაანგარიშება
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დადებისას ვადის გაანგარიშება ხდება წლებით, თვეებით ან დღეებით.

მუხლი 40. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დადების ვადები
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა იმ დღიდან, როდესაც გადაცდომის შესახებ ცნობილი გახდა უფლებამოსილი ორგანოსათვის (თანამდებობის პირისათვის). აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა.

მუხლი 41. მოვალეობის შესრულება, რომლის შეუსრულებლობისათვის შეფარდებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დადება არ ათავისუფლებს დისციპლინური გადაცდომის ჩამდენს იმ მოვალეობის შესრულებისაგან, რომლის შეუსრულებლობისათვის მას შეფარდებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

მუხლი 42. წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სისრულეში მოყვანის წესი
1. წახალისება სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი დაუყოვნებლივ.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი დაუყოვნებლივ, განსაკუთრებულ შემთხვევაში – მისი გამოცხადების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ წარდგინების ბრალეულად განუხორციელებლობის შემთხვევაში, წარდგენაზე უფლებამოსილ პირს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

თავი VI
დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება

მუხლი 43. ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა
1. ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არღვევს სამხედრო დისციპლინას – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 44. ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა
1. ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მისთვის განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 45. ბრძანების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება
1. ბრძანების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ დადგენილი წესით მიღებული ბრძანების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულება, რომელიც არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 46. მხედრული მისალმების წესის დარღვევა
1. მხედრული მისალმების წესის დარღვევა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მხედრული სალმის არ მიცემა ან სალმის მიცემის დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სატიკ საყვედურს.

მუხლი 47. სამწყობრო კომანდების დარღვევა
1. სამწყობრო კომანდების დარღვევა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს.

მუხლი 48. დანაყოფის თვითნებური მიტოვება
1. დანაყოფის თვითნებური მიტოვება, აგრეთვე დანაყოფში დანიშვნის, დანაყოფიდან დათხოვნის ან გადაყვანის დროს, მივლინებიდან, შვებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე ორ დღე-ღამემდე ვადით გამოუცხადებლობა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.
2. დანაყოფის თვითნებურად მიტოვებად ჩაითვლება იმ ტერიტორიის მიტოვება, სადაც სამხედრო მოსამსახურე ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 49. სიმულაცია
1. სიმულაცია, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ცრუ მოქმედებები, აგრეთვე საკუთარი სხეულის განზრახ დაზიანება – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 50. სიმთვრალე

1. სიმთვრალე, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში - გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 51. ჩხუბი

1. ჩხუბი, ე.ი. სამხედრო სავალდებულო მოსამსახურის მონაწილეობა ჩხუბში დანაყოფის სამოქმედო ტერიტორიაზე – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 52. სამსახურებრივი ინვენტარის დაკარგვა-დაზიანება

1. სამსახურებრივი ინვენტარის დაკარგვა-დაზიანება, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 53. პირადი ეკიპირების დაკარგვა-დაზიანება

1. პირადი ეკიპირების დაკარგვა-დაზიანება, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს.

მუხლი 54. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების სამოქალაქო პირებისათვის მიცემა ან მიყიდვა

1. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების სხვა პირებისათვის მიცემა ან მიყიდვა, რაც არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 55. სამხედრო აღჭურვილობის მოუვლელობა

1. სამხედრო აღჭურვილობის მოუვლელობა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო აღჭურვილობის შენახვის, მოხმარების და სხვ. წესების დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს.

მუხლი 56. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა

1. სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სატიკ საყვედურს.

მუხლი 57. სამსახურებრივი ნიშნების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე

1. სამსახურებრივი ნიშნების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ფორმის ტანსაცმლის, ატრიბუტიკის, ინსიგნიების ან ღილკილოების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.

მუხლი 58. სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი ვარცხნილობის ტარება
1. სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი ვარცხნილობის ტარება, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის პირის მიერ სამხედრო სამსახურისათვის შეუფერებელი თმის ვარცხნილობა, გაუპარსავი ყოფნა, გამოიწვევს – დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.

მუხლი 59. მიუღებელი სამკაულების ტარება
1. სამკაულების ტარება, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მიუღებელი სამკაულების (პირსინგის) ტარება – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.

მუხლი 60. საბუთების გაყალბება
1. საბუთების გაყალბება, ესე იგი სამხედრო მოსამსახურის მიერ დოკუმენტაციაში მცდარი მონაცემების შეტანა, რომელიც არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 61. სამხედრო დანაყოფის ტერიტორიის დაბინძურება

1. სამხედრო დანაყოფის ტერიტორიის დაბინძურება - გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.

მუხლი 62. არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა
1. არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ფორმის ტანსაცმლით საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 63. აზარტული თამაში
1. სამხედრო დანაყოფის ტერიტორიაზე აზარტული თამაში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 64. არაეთიკური ქცევა მწყობრში, სამხედრო მოსამსახურეთა კრებაზე, სემინარზე, კონფერენციასა და სხვა ოფიციალურ თავშეყრის ადგილებში
1. არაეთიკური ქცევა მწყობრში, სამხედრო მოსამსახურეთა კრებაზე, სემინარზე, კონფერენციასა და სხვა ოფიციალური თავშეყრის ადგილებში, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მიუღებელი ფრაზებით, ჟესტიკულაციით ან ჟარგონებით საუბარი – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს.

მუხლი 65. დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა
1. დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო დანაყოფის ტერიტორიაზე დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, რასაც შეიძლება გამოეწვია მძიმე შედეგი – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 66. თამბაქოს მოწევა
1. თამბაქოს მოწევა, გარდა ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – საყვედურს ან სასტიკ საყვედურს.

მუხლი 67. სექსუალური კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება
სამხედრო დანაყოფის ტერიტორიაზე სექსუალური კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (ჰომოსექსუალური ან სხვაგვარი სექსუალური ქმედება) – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 68. ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა
ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესების დარღვევა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მასზე ტაბელით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ან მოვლის წესების დარღვევა, რასაც შეიძლება მოყვეს მისი დაზიანება, დაკარგვა ან განადგურება – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 69. არადანიშნულებისამებრ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება
არადანიშნულებისამებრ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა არადანიშნულებისამებრ, რასაც არ მოჰყოლია მძიმე შედეგი – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 70. ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით გასროლა
1. ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით გასროლა, რასაც არ მოჰყვა მძიმე შედეგი, – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 71. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის დადგენილი ნორმატივების შეუსრულებლობა
ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ნორმატივების შეუსრულებლობა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ დადგენილი საცეცხლე ნორმატივების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 72. ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა
1. ყარაულის მიერ საგუშაგოზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, ე.ი. ქმედება, რომელიც არ შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არღვევს ამ წესს – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 73. ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა
1. ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა, ე.ი. სამხედრო მოსამსახურის მიერ მისთვის განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – შენიშვნას ან საყვედურს.
2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას – სასტიკ საყვედურს ან კონტრაქტის შეწყვეტას.

მუხლი 74. კონტრაქტის შეწყვეტის სხვა პირობები
1. ამ წესის 37-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სამხედრო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნას კონტრაქტის შეწყვეტა.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - კონტრაქტის შეწყვეტა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მოსამსახურის მიერ სასტიკი საყვედურის არაერთგზის მიღების შემთხვევაში.

მუხლი 75. სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება
1. ამ წესის 37-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სამხედრო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - სამხედრო წოდების ერთი საფეხურით დაქვეითება შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო მოსამსახურის მიერ სასტიკი საყვედურის არაერთგზის მიღების შემთხვევაში.

მუხლი 76. რიგგარეშე განწესამდე დანიშვნა
1. რიგგარეშე განწესამდე დანიშვნა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამ წესის 43-ე, 44-ე, 45-ე, 51-ე, 52-ე, 63-ე, 71-ე, 72-ე და 73-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისას.
2. რიგგარეშე განწესამდე დანიშვნა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოიყენება მხოლოდ საყაზარმე პირობებში მყოფი სამხედრო მოსამსახურის მიმართ.

დანართი №2

ხელშეკრულება N----------

საკონტრაქტო სამსახურის გავლის შესახებ

ქ. თბილისი „-----“ ---------- 2013 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი)

სახით და, მეორე მხრივ----------

(შემდგომში – მოსამსახურე) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონების, პატიმრობის კოდექსის და „სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში წვევამდელთა ჩარიცხვისა და სამხედრო სამსახურის გავლის წესის“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოსამსახურის მიერ დეპარტამენტის გარე დაცვის სამმართველოში საკონტრაქტო სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა.

2. ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობები

სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის ვადის ათვლა დაიწყება მოსამსახურის ჩარიცხვის ბრძანებაზე დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელმოწერის დღიდან.

3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

3.1. დეპარეტამენტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მოსამსახურე საქართველოს კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სოციალური გარანტიებით, შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით, სპეციალური აღჭურვილობითა და ფულადი ანაზღაურებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიიდული დახმარების საკითხთა მინისტრის სამართლებრივი

აქტით დადგენილი ოდენობით;

ბ) გააცნოს მოსამსახურეს ნორმატიული აქტებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები;

გ) განახორციელოს კონტროლი მოსამსახურის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულებაზე;

დ) მოსამსახურის მიერ საკონტრაქტო სამსახურის გავლის პერიოდში, კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, უზრუნველყოს შესაბამის სამსახურებში ცნობების გაგზავნა ამ მოსამსახურის ნამსახურების აღნიშნული პერიოდის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ჩათვლის მიზნით.

3.2. მოსამსახურე ვალდებულია:

ა) გაიაროს სამსახურის სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სწავლების საკარანტინო პერიოდი;

ბ) მტკიცედ დაიცვას სამხედრო ფიცი;

გ) ზედმიწევნით უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით, სხვა ნორმატიული აქტებითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

3.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

4.1. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

ბ) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა.

4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა;

ბ) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევა;

გ) ფიცის გატეხა, მოსამსახურისათვის შეუფერებელი საქციელის ჩადენა;

დ) დანაშაულის ჩადენაზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა;

ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის განსაკუთრებული პირობები

5.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების მიზეზით, რითაც დაირღვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.2. მოსამსახურეს, თავისი ინიციატივით (თვითნებურად) ან ბრალეულობით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ნამსახურები პერიოდი სავალდებულო სამსახურში არ ჩაეთვლება და მისი სამართლებრივი სტატუსი და სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც ინახება მხარეებთან.

დეპარტამენტი	მოსამსახურე
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
„-------“ „----------“ 20 წ.	„_____“ „_____“ 20 წ.